

43+008  
y-561

ილია ჭავჭავაძის სახელობის თბილისის  
ენის და კულტურის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ხელნაწერის უფლებით

**ირმა ყიფიანი**

**ფრაზეოლოგიითა სტრუქტურის  
ლინგვოკულტუროლოგიური კომპონენტი  
თანამედროვე გერმანულ ენაში**

(შინაური ცხოველების ნომინაციის შემცველი  
ფრაზეოლოგიური ერთეულების მაგალითზე  
ზოგადგერმანულსა და ავსტრიული გერმანულის  
ლექსიკურ-სემანტიკურ სისტემაში)

10. 02. 10

ენა და კულტურა

ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო  
ხარისხის მოსაკრებლად წარმოდგენილი დისერტაციის

ა ვ ტ ო რ ე ფ ე რ ა ტ ი

თ ბ ი ლ ი ს ი

2 0 0 5

სადისერტაციო ნაშრომი უმსრულეა ილია ჭავჭავაძის სახელობის თბილისის ენისა და კულტურის სახელმწიფო უნივერსიტეტის რომანულ-გერმანიკული ფილოლოგიის კათედრაზე

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ცისანა გოგლიჩიძე,  
ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი,  
პროფესორი (10.02.04)

ოფიციალური ოპონენტები: 1. შოთა შაბურიშვილი,  
ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი,  
პროფესორი (10.02.04)  
2. ნატა ჯანელიძე,  
ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი,  
დოცენტი (10.02.04)

დისერტაციის დაცვა შედგება 2006 წლის 5 იანვარს ილია ჭავჭავაძის სახელობის თბილისის ენისა და კულტურის სახელმწიფო უნივერსიტეტის P 10-01 №1 სადისერტაციო საბჭოს სხდომაზე \_\_\_\_\_ აუდიტ.  
მისამართი: 0162, თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზ. № 45

დისერტაციის გაცნობა შესაძლებელია ილია ჭავჭავაძის სახელობის თბილისის ენისა და კულტურის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო ბიბლიოთეკაში  
0162, თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზ. № 45.


ავტორეფერატი დაიგზავნა 2005 წლის 1 12

სადისერტაციო საბჭოს სწავლული მდივანი,

პროფესორი

ლ. გვასალია

ლ. გვასალია



### ნაშრომის ზოგადი დახასიათება

თანამედროვე ლინგვისტიკაში განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა სემანტიკური ურთიერთმიმართებების კვლევას. უნივერსალური სემანტიკური კატეგორია და მისი საერთო კონცეპტუალური შინაარსი წარმოადგენს წინამდებარე ნაშრომში შედარებითი კვლევის საფუძველს. ნაშრომი ეძღვნება გერმანული ენის და მისი ნაციონალური ვარიანტის ლექსიკურ-სემანტიკურ სისტემაში ნომინაციის საკითხის ინტეგრირებული კვლევის პრობლემატიკას.

კვლევის ატრუალურებას განსაზღვრავს შინაური ცხოველის სახელის ნომინაციურ და მისი მნიშვნელობის სტრუქტურაში ენობრივი – სემანტიკური და კულტუროლოგიური კომპონენტის გამოვლენა ანუ სემანტიკურ-კულტუროლოგიური ასპექტის გამოყოფა.

კვლევისას ვეყრდნობით დებულებას იმის შესახებ, რომ სახელდებითი ლექსიკური ერთეულების სემანტიკურ სტრუქტურაში გამოიკვეთება მისი როგორც სემანტიკური აბრეშვი კულტუროლოგიური ასპექტები. ყურადღება აქცევს გენდენცია, რომელიც შეიმჩნევა უკანასკნელი წლების ლინგვისტურ ნაშრომებში - ვ. ფონ ჰუმბოლდტის მიერ დამუშავებული „სამყაროს ენისმიერი ხატის“ იდეის ჩართვა თანამედროვე ლინგვისტურ კონცეფციისა და თანამედროვე ლინგვისტიკის წინამძღვრების ურთიერთმიმართების კრილში წარმოებული ლინგვისტური კვლევა, რომელიც სემანტიკურ მომენტზეა ორიენტირებული, შესაძლოა შემდგომ ინტეგრირებულ იქნეს ენისმიერი მსოფლხედვის თვალსაზრისით. სწორედ მისი სემანტიკურ-კულტუროლოგიური განზომილება ანიჭებს მნიშვნელოვან როლს სამყაროს ხატს მგავსად, განუმეორებელ იერს. ამის გამოა, რომ საინტერესო ხდება ნებისმიერი ცალკეული ენის კვლევა სწორედ შედარებით პლანში: ერთიან ენობრივ სივრცეში (ენა-ვარიანტი); ენობრივ სისტემაში კოდირებული მნიშვნელობა ვლინდება შედარება-შეპირისპირებისას მათი ენისმიერი სამყაროს ხატების მსგავსება-განსხვავებაში. აღნიშნულმა მომენტმა განსაზღვრა ჩვენი არჩევანიც – შინაური ცხოველების ნომინაციური ერთეულების

1-2037